CV - ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავ სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად;

АТТЕСТАТ

ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комис
при Совете Министров ССС
от 23 ноября 1979 г. (протокол № 32

Чочиашвили Гурам Ива

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрологии и инженерной

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

Я № 168160

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზედ, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ. ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა

აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. 30 ივნისის დადგენილებით გ. ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

მ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. 2 აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

№ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალ
რაიონის შ.ს. მეორე განყოფილებ

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვა

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ,,ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№9-11-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ 1-2 ბლოკის ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები".

შ.პ.ს. ,,დიზაინგრუპი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№9-11-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი 1-2 ბლოკის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№9-11-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ 1-2 ბლოკის ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ,,დიზაინგრუპი"-ს მიერ მოწვეული სპეციალისტის ტ. ლომიძის მიერ 2016 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ტ. ლომიძე. ლაბორატორიული სამუშაოები გრუნტების თვისებების დასადგენად ჩატარდა შ.პ.ს. ,,გეოტექსერვისი"-ს ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. ცდები კლდოვან ქანებზე ---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ---------- 1გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 2ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 6ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 2ფურც

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი. თოთოეული 8 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა

ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა – 2 – თიხნარი, ნახევრადმყარი;
3. ფენა – 3 – რიყნარი, თიხნარის შემავსებლით;
4. ფენა – 4 – ძირითადი ქანები – ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების (გარდა ნაყარი გრუნტისა) საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოცემულია მათი სიმტკიცისა და დეფორმაციის მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, ავტორი იძლევა წინადადებებს მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მხოლოდ ერთ ჭაბურღილში (№1) მიწის ზედაპირიდან 2.8 მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№9-11-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი 1-2 ბლოკის ტერიტორიაზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჯოხონელიძე

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ,,ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№9-11-ში, საცხოვრებელი კომლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები".

ჩვენს მიერ 2017 წლის მარტში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№9-11-ში, საცხოვრებელი კომლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ბლოკები 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 17, 18) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, მირცხულავას ქ. №9-11-ში, საცხოვრებელი კომლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ,,დიზაინგრუპი"-ს მიერ მოწვეული სპეციალისტის ტ. ლომიძის მიერ 2016 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ტ. ლომიძე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ---------- 1გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 11ფურც
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 6ფურც

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს საცხოვრებელი კომლექსი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 11 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 92 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა – 2 – რიყნარი-ხრეში 10% ლოდების ჩანართებით;
3. ფენა – 3 – ძირითადი ქანები, სუსტად გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა;

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოალნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება, რის საფუძველზეც ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან, ავტორი აღნიშნავს, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა ზოგიერთ ჭაბურღილში. გამოვლენილი წყალი წარმოადგენს ნაპრალოვანი გრუნტის წყალს, რომლის გავრცელებაც არის ლოკალური წყალი, როგორც გამოკვლევამ აჩვენა წყალი არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№9-11-ში, საცხოვრებელი კომლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე